პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

№ 102 | კვირა, 29 მაისი 1927 წ. | № 102




ამხ. მიქოიანი (საბჭოთა კავშირის ვაჭრობის კომისარი). თუ ამ მცენარეს ზედმეტი ტოტები არ მოვაშორე, ხულ ერთიანათ დაჩრდილავს ჩვენს ნამუშევარს.

მუშები. ჩქარა ზლომათ წყალი, თორემ ეს კაცი ისე ჩააცივდა ამ ხეს, რომ გაახმობს და ის იქნება...

# ფასების დაკლებამ დაღუპა

ქაიხოსრო ქარქაშაძეს ბევრი ნაცნობ-მეგობრები ჰყავდა. ასე წარმოიდგინეთ, სადმე, შორს, რომ ქუდი დაჰკარგოდა, არც კი იდარდებდა, რადგან კარგად იცოდა, რომ მის ქუდს რომელიმე მისი ნაცნობი იპოვიდა და ერთ მშვენიერ დღეს ქალაქში დაუკრავდა ქაიხოსროს თავს:

— ჩემს ქაიხოსროს ვახლავარ. რავა ბრძანდებით, ბატონო ქაიხოსრო, რავა გაატარეთ აი ზაფხული?

— მადლობელი ვარ ჩემო ალმასხან, მადლობელი. ქე ვარ ღვთის წყალობით გვარიანათ—არც ისე როგორც ჩემს მტრებს უნდათ, არც ისე, ჩემს მეგობრებს რომ ესიამოვნებათ. შვახორცათ ვარ, შვახორცათ.

—იმეე, ბატონო ქაიხოსრო! თქვენისთანა პატიოსან კაცს, თქვენისთანა ვაჟკაცს, მტერი რავა ეყოლება!

— არა, კაცმა რომ მართალი სთქვას, ჩემი მტერი დროებაა, ბატონო, დროება; ჩვენ შავ დროს ვართ დაბადებული, ახლა კი წითელი დროა.

— იყოს ბატონო წითელი დრო, მერე რა? ჩვენი თვალი ხომ შავსა და წითელსაც ერთნაირად ხედავს?

— ხედვით კი ხედავს, მარა, გაწითლდიო მეუბნებიან, ახალ პლატფორმაზე დადექიო. მე არ ვშვები ამას და ისინიც არ მაძლევენ გასაქანს...

— ვინ ისინი, ქაიხოსრო?

— ვინ და ჩვენი ძმები—კომუნისტები... შენ ხომ იცი რა მიყვეს პირველად? ის უზარმაზარი სახლები რომ მქონდა, ვაგზლის ქუჩაზე, ჩამომართვეს; უნაგრების სახელოსნოც ჩამომართვეს; ბანკში რომ ფულები მქონდა შენახული შავი დღისათვის, იმასაც რეკვიზიცია უქნეს...

— ეს, ალბად, იმიტომ, ჩემო ქაიხოსრო, რომ შავი დღე აღარ გაგითენდეს... მაინც შენ არაფერი გეტყობა ბატონო ქაიხოსრო, ძველებურად სჭამ და სვამ, იცვამ და იხურავ, დროებას დარდიმანდულად ატარებ, ფერი არ გაქლია და ხორცი.

— აბა შე კაცო, შიმშილით ხომ არ მოვიკლავ თავს! რომელ პროგრამაში სწერია—რა კი ძველ დროს ქაიხოსრო დიდი პადრაჩიკი იყო, ახლა შიმშილით ამოიხადოს სულიო. ააშენოს ღმერთმა მათი ოჯახი. ბევრი ნაცნობები მყავს და მათი დახმარებით იოლად მივდივარ. ვებრძვი უსამართლობას...

— აძ, შენი ქუდი ვიპოვნე ქაიხოსრო, კაი საქონელია და იმედია არ გამიწყრები, რომ ჩამოგიტანე.

— რაიზა შეიწუხე ბოშო თავი! ქუდების მეტი რა მაქვს მთელი ზანდუკი საფსე მაქვს კრაველის ქუდებით.

— თუ გეწყინა ქაიხოსრო, უკანვე წავიღებ და შენ სახსოვრად დავიტოვებ!

— არა, მაგას რავა გაკადრებ! მომეცი აგერ შევინახავ!—კოწია მუხრანსკის ნაფეშქაშევია და არ მინდა მაგის დაკარგვა.

— ბატონო ქაიხოსრო! ვიცი რომ აუარებელი ნაცნობ-მეგობრები გყავს. იქნება სადმე ადგილი მიშოვნო მათი დახმარებით. რავაც შენ არ დაგკლავ, ისე არ მინდა მაგათთან სამსახური, მარა ნამეტარი გამიჭირდა სოფელში ცხოვრება: თუ რამე გასაყიდი იყო, გავყიდე, ახლა არაფერი გამაჩნია და დიდ კრიზისში ვარ ჩავარდნილი. დამეხმარე რამე!

— ცოტა ხანი დამაცადე. აგერ დიდ ადგილს მპირდებიან და თუ მიმიღეს, შენს პურმარილს არ დავივიწყებ და ჩემ თანაშემწეთ მიგიღებ. ვიმუშაოთ ერთად და როგორმე გავაჩანჩალოთ ეს დროება. მერე ღმერთი მოწყალეა—ან ვირი გავხდებით, ან ვირის პატრონი.

— მაგას რაღა აჯობებს, ჩემო ქაიხოსრო, შენთან თუ მიმიღებ. მამა არ წამიწყდეს, სირცხვილს არ გაჭმევ და მუდამ შენი ერთგული და გამგონე ვიქნები.

— აბა იმედი გქონდეს, ახლა წადი და ერთ თვეში ელოდე ჩემს წერილს! მშვიდობით.

— ნახვამდის ჩემო ქაიხოსრო.

მართლაც ამის შემდეგ ქაიხოსრო, ასე იყო თუ ისე, ერთ-ერთი კოოპერატივის გამგეთ მოეწყო და იმდენი იჩალიშა, რომ გამგეობა დაითანხმა და ათი კვირის შემდეგ თავისი სიყმის მეგობარი ალმასხანიც მიიღო სამსახურში თანაშემწედ.

— სანამ პირში სული მიდგას, არ დავივიწყებ შენს პატივისცემას.—ეუბნებოდა ქაიხოსროს სიხარულისაგან სახე გაბრწყინებული ალმასხანი და გულდასმით ათვალიერებდა კოოპერატიულ მაღაზიას.

— ალმასხან, მართალია ჯამაგირი ცოტა არის, არც კი ღირს სათქმელად, მარა, არა უშავს-რა, ერთი ჩვენებურად, ძველებურად დავტრიალდეთ და საქმე კარგათ წავა.

— მაგას რაღა ლაპარაკი უნდა! მაინც რამდენია ჯამაგირი?

— მე ჩვიდმეტი თუმანი და შენ კი თორმეტ თუმანს მოგცემენ.

— თორმეტ თუმანს? ავშენდი კაცი და აგია სწორედ. თორმეტი თუმანი კი არა აგერ სამი წელიწადია, ხუთი თუმნისთვის არ შემივლია ერთად ხელი! მართლა ამბობს ქაიხოსრო თუ მეხუმრები?

— ხე, ხე, ხე, სახუმარო რა მაქ ალმასხან. თორმეტი თუმანი ეს ნაღდია. შენთვის ეს შეიძლება დიდიც იყოს, მაგრამ ჩემთვის ჩვიდმეტი თუმანი რას წარმოადგენს?, არაფერს! ამდენი ნაცნობ-მეგობრები რომ მყავს, რავა ფიქრობ, მაგათ პატივისცემა არ უნდათ? მერე იცი რამდენი ჯდება კაი ვახშამი?

— ხუთი-ექვსი მანეთი მაინც დაჯდება!

— ე, ე, მართლა ჩამორჩენილხარ ცხოვრებას, ჩემო ალმასხან სოფელში. ხუთი-ექვსი მანეთით შე კაცო, ვახშამს კი არა პრასასაც ვერ იყიდი... კაი ვახშამი კი რა გიჭირს, სამასი-ოთხასი მენეთი დაჯდეს...

ალმასხანს აღარაფერი ესმოდა, თავაღერილი მისდევდა უკან ქაიხოსროს და ღრმა ფიქრებიდან მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა უცაბედათ ფქვილით სავსე ტომარას დაეჯახა. ქაიხოსრომ სულ მცირე ხნის განმავლობაში ისე გამოაბრუნა გაკოტრების გზაზე დამდგარი კოოპერატივი, რომ გამგეობის წევრები განცვიფრებულნი იყვნენ და ქაიხოსროს პირდაპირ სასწაულ მომქმედათ სთვლიდენ.

— ხომ გითხარი, მეტის-მეტად ყოჩაღი და გამოცდილი კაცი არის მეთქი,—თავმომწონედ ამბობდა თავმჯდომარე.—თუ დაგვიყენეს ეს კაცი აქ და კავშირიდან და ბირჟიდან საქმე არ გაგვიჭირეს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს! ჩვენი კოოპერატივი თითით საჩვენებელი გახდება.

— როგორმე უნდა მოვახერხოთ და ქაიხოსრო კავშირის წევრად მივაღებინოთ, მაშინ ნოქრები და მოსამსახურეები ანგარიშს გაუწევენ,—ამბობდა გამგეობის ერთი წევრი.

— არა, საიდან გაიგეს მაგ ოხრებმა, რომ ქაიხოსრო ნაპოდრაჩიკევია!—კვირობდა გამგეობის მეორე წევრი.

ქაიხოსრომ სულ მცირე ხნის განმავლობაში ისეთი ნდობა დაიმსახურა მთელი გამგეობის, რომ მთელი კოოპერატივის საქმის წარმოება სავსებით ჩაიგდო ხელში. თავმჯდომარე პირდაპირ თვალ დახუჭული აწერდა ხელს ქაიხოსროს მიერ გამზადებულ ვექსილებს. ქაიხოსრო კი თვითონ იღებდა ბანკებიდან ფულებს და თავის ნებაზე—ვისთანაც და სადაც უნდოდა, იძენდა კოოპერატივისთვის საქონელს. აივსო მაღაზია ფართლით, საბაკალეიო, საკალონიო და სხვა საქონელით. ჯარასავით ტრიალებდა ქაიხოსრო შინ და გარეთ და ჯარასავით ატრიალებდა ალმასხანსაც, გამგეობასაც და მთელ კოოპერატივსაც.

ერთ ღამეს, როდესაც გამგეობის წევრები, მხიარულ გუნებაზე დაბრუნდენ ქაიხოსროს მიერ გამართულ ვახშმიდან, გამგეობის თავმჯდომარემ მეტად არა სასიამოვნო სიზმარი ნახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაც მოგივა დავითაო ყველა შენი თავითაო




შუბლმაგართა ქოფაკები გვიღრინავდენ მეტად,
ჩვენი ზრდა და ძლიერება თავს ესხმოდათ მეტად
და სავაჭრო შეთანხმებას სწევდენ გასაწყვეტად—

თუმცა ესმოდათ მშრომელთა ხმა:—რას ჯამბაზობთ
ნეტა?




**ჩემბერლენი სწევდა ბაწარს. ხიკსი კბილით ღრღნიდა,**
**ჭორებით და პამპულობით ორივ იქადნიდა**

**გაწყდა „თოკი", შეასრულა რაც რომ დაიკვეხა,**
**მაგრამ... თავი კან-მაგარ.ი თვითვე გაიტეხა!**

---

ვითომ კოოპერატივი ძროხათ გადაქცეულიყო, ქაიხოსრო ხბოთ, შეჯდომოდა ძროხას და ხარბად სწოვდა ორივე ძუძუს.

არაკისთვის არ გაუმხელია თავმჯდომარეს ეს საოცარი სიზმარი, მაგრამ მის გულში რაღაც სევდამ დაისადგურა.

ქაიხოსროს კოოპერატივს—(ასე ეძახდენ უკანასკნელ ხანებში) უცხო ხალხი, საქმის ხალხი—ნეპმანები შემოეჩვია. ზოგს მიჰქონდა საქონელი, ზოგს მოჰქონდა, ზოგი ფულს მიაბარებდა ხოლმე კოოპერატივის სალაროში და ერთი საათის შემდეგ ისევ მიჰქონდა, ზოგი ძვირფას ნივთებს აწყობდენ კოოპერატივის შკაფში.

საქმის ხალხს თან მოყვენ მანდილოსნები, მეტად ლამაზები და მოხდენილები; ესენი ისე დაუახლოვდენ ქაიხოსროს და ალმასხანს, როგორც ღვიძლ ქმრებს; მათ შორის არაფერი იყო საიდუმლო და დასამალი. ხშირად, როცა ვაჭრობა მორჩებოდა ხოლმე და კოოპერატივის დარაბებს შიგნიდან ჩაჰკეტდენ—კანტორაში ქაიხოსროსთან და ალმასხანთან ერთად რამოდენიმე ნეპმანი და მშვენიერი ასულნიც მოიყოლებდენ თავს და დამლაგებელი მაშო ასეთ შინაურულ ლაპარაკს მოჰკრავდა ხოლმე ყურს:

— ქაიხოსრო როგორ გიყურებს ახლა თავმჯდომარე?
— როგორც კეთილ ანგელოზს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი მაკრატელი




— მაშ, ერთი ამ კეთილ ანგელოზის სადღეგრძელოც დავლიოთ, დავლიოთ.

— **Давайте споем маложралимы** (ნეპმანების მრავალჟამიერი)—დაიყინებდა ებრეალი მოსე, რომელიც ისე შეეჩვია ქართველურ დარდიმანდულ ცხოვრებას, რომ სულ მწვადებში და კახურში ამოსდიოდა სული.

— ერთიც ყმაწვილებო!

ეს იყო, ასე ვსთქვათ, შინაურული ვახშამი, მეგობრულად დროს გატარება, რომლის დროსაც მთავარი ყურადღება კოოპერაციის საკითხისადმი იყო ხოლმე მიპყრობილი!

რაც შეეხება დროს გატარებას უფრო ფართო მასშტაბით, არც ამას იყვენ მოკლებულნი ქაიხოსრო და მისი მეგობრები, ასეთებიც იმართებოდა თვეში ერთხელ მაინც. მაგრამ მათ ჩვენ ვერ შევეხებით დაწვრილებით და ყოველის მხრივ რადგან......

— ქაიხოსრო ჩემო, უბრძანეთ მომიჭრან ერთი საკასტუმე კავერკოტი,—მიმართა ერთხელ ნინა ივანოვნამ.

— პოჟალუსტა. საპალტოე არ გნებავს? ალმასხანს, მოუჭერი სამი მეტრი კოვერკოტი, მაღალი ხარისხის!

— ქაიხოსრო, როგორღაც ცუდი ფერი გადევს, ავად ხომ არა ხარ.—შეეკითხა მარგო გავრილოვნა ქაიხოსროს.

— ისე, სხვათა შორის. წელის ტკივილი დამჩემდა ამ ბოლო დროს.

— ძველი ცოდვების ბრალი იქნება, მაგრამ ერუნდაა! ტი ზნაეშ, შტო ია კაგდა ტო მასაჟისტკოი ბილა. ორჯელ დაგზილავ ლაზათიანად და გაგივლის. როდის იქნები სახლში?

— დღეს სახლში ვარ.

— აბა მაჩვენე ზურგი!—აქ გტკივა არა? oო, ბედნი ქაიხოსრო! აბა დაწექით! რას, დვა. რას, დვა!

— oო, ცხონდა მამაშენი, მარგო, მარგო!

— რას მიბრძნებთ?

— მარგო მეთქი, ჯსე იგი მომიხდა შენი ექიმობა.

— მე კი არ ვიცი!

— ქაიხოსრო, მოჟნო უვას პალუჩიტ ატრეზ ნა კასტიუმ?

— პაჟალუისტა. მე თითონ გამოგიგზავნი ჩემი კაცის ხელით.

ერთ დღეს თავმჯდომარე—ჩვეულებისამებრ შემოვიდა გამგეობაში და ქაიხოსროს წაუკითხა დირექტივა ფასების დაკლების შესახებ. ეხლავე უნდა ავწეროთ მაღაზია და მოვახდინოთ საქონლის გადაფასება.

— მაინც რამდენის დაკლებას აპირობთ.

— 10 პროცენტის! ასეთია დირექტივა.

— თქმა ადვილია, თქვენ შესრულება იკითხეთ! — გაცხარდა ქაიხოსრო.

— ვითომდა რატომაო?

— იმიტომ, რომ აქ კოოპერატივის თაროების მეტი არაფერია, მთელი საქონელი სხვისია და სხვის საქონელზე ფასების დაკლება როგორ შეიძლება?

— როგორ თუ სხვისია,—დაიღრიალა თავმჯდომარემ.

— ისე რომ სხვისია. მაშ როგორ გეგონათ, უფულოთ შეიძლებოდა ამოდენი საქონლის შეძენა?

— როგორ თუ უფულოდ? იმოდენა ფულებს რომ ვსესხულობდით ბანკებიდან, ის რა იყო?

— ნასესხებს ჩასესხება არ უნდოდა? ვალს ხომ გადახდა უნდა!

— ახლა კი მესმის ყველაფერი! მაშ ეს ნეპმანები იმიტომ შემოიჩვიე, რომ ჩვენი კოოპერატივი მათ სავაჭრო დაწესებულებათ, საკომისიო მაღაზიათ, გადაგვექცია?

— უთქვენოთ მე არაფერი გამიკეთებია.

— სტყუი!

ალმასხანი გულგახეთქილი უგდებდა ყურს ამ „მეგობრულ“ ბაასს და შიშისაგან აღარ იცოდა რომელ კუთხეში დამალულიყო.

— გათავდა ყველაფერი.—ამბობდა თავის გულში ალმასხანი:—ნეტავ სასუდოთ მაინც არ წავიდეს საქმე.

— მეორე დღეს, დილა ადრიანად ნეპმანებით გაივსო კოოპერატიული სავაჭრო და ერთი საათის განმავლობაში ისე გასცალეს მაღაზია, რომ ნაოხარს დაამსგავსეს. ქაიხოსრო მათ გაჰყვა უკან და აღარ დაბრუნებულა. ალმასხანი კი უკანა კარებიდან აძვრა, ისე რომ კანტორაში ჩამოკიდებული ქუდი და ჩოხაც კი იქ დარჩა.

თავმჯდომარე და გამგეობის წევრები ერთმანეთს შეჰყურებდენ და სიტყვის ამოღებას ვერ ახერხებდენ.

საიდან იყო და არ იყო, გაჩნდა ადგილკომის თავმჯდომარეც. ჯიბიდან ამოიღო კავშირის ცენტრალური გამგეობის ცირკულიარი ფასების დაკლების შესახებ და ხმა-მაღლა დაუწყო კითხვა: „კავშირის ძირითად ორგანიზაციებს ევალებათ მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ფასების დაკლების კამპანიაში“.......

— ვითომ რა გინდა რომ სთქვა?—გააწყვეტინა თავმჯდომარემ.

ისა, რომ ჩვენ მზათ ვართ მონაწილეობა მივიღოთ ფასების დაწევის საქმეში!

— მადლობას მოგახსენებთ! შე ოჯახ დაქცეულო, ბრმა ხარ თუ როგორ არის შენი საქმე? ვერ ხედავ, რომ კოოპერატივში არაფერი დარჩენილა? რას უნდა დაუკლო ფასები.

ადგილკომის თავმჯდომარემ ნაღვლიანად შემოავლო თვალი კოოპერატივის დაცლილ თაროებს და თავმჯდომარეს ჰკითხა:

— ქაიხოსრო, თქვენი ქაიხოსრო სადღაა? ალმასხანი სადღაა?

— თავმჯდომარემ თავი დახარა ძირს და ფასების დაკლების ცირკულიარს მძიმეთ დაეცა მისი ცრემლები.

ასე დალუპა ფასების დაწევამ..... ვინ? ქაიხოსრო, ალმასხანი თუ კოოპერატივი.

ყოველ შემთხვევაში უფრთხილდით პოდრიაჩიკებს, ნეპმანებს, ვახშებს და შავ-თვალწარბა ქმნილებებს, ამხანაგო კოოპერატორებო!

ყოლონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ს ნ ი ჟ ე ნ ი ე"

— მახლაზ! ეს რა ღვთის რისხვა გამაატყვრინეს მაგ ბემურაზებმა და! ქრისტიანო, ამისთანა ლევანდი და ჰავარაკი რამე გინახიათ? კაცს მოგების 'შნო და მარიფათი ჰქონდეს, ასეთ ზაჰრუმალ დროშიაც კი შეშვიდით ყაფაზები აავსო, გილდი პატენტი, ნალოგი რამე თავის დროზე გაისტუმრო, ჰამაც მუშტრებთან სარისტა ჰქნა, საქმე საქმეზე მაიყვანო და აქაც ახალი ხათა არ დაგილიონ?

ამ ფასების დაკლებაზე გებნებით რაღა, კომუნისტურათ სნიჟენიას ეტყვიან მააშ!..

ახარ, ქრისტეს გეფიცები, ზიარების მადლმა და ჩემი ზარიფი სიყმის მზემ, რომ ეს შტუკა ჩვენი ჰამქრის ნაზლით გამაიგონეს, ჰოინი მოგვინახეს რაღა, ახალი ხორველა გაგვიჩინეს!.. ჰუზურში ამით ჩვენი გაკოტრება უნდათ, რომა მერე კანკურენცია აღარ უყოთ და ბესკანეჩნათ მაიგონ და მაიგონ!.. ჰაი გიდი აბასთუმან!..

ჰამაც ისეთ თაბაუთს იჭერენ, რომა კაცი ვერ მიუდგეს: პრიმერი თვითონ გვაჩვენეს, პირველად სნიჟენია თვითონ გააკეთეს, თანაც სტროგი პრიკაზები გამოსცეს.

— ასმა, რაც რომ შეშვიდია ყველაფერს პროცენტები დააკელითო, ნაკლადნოვი რასხოდები მოშალეთო, მუშტრებს სკიტკა გაუკეთეთო, საქონელი გააიაფეთ, რომ ხალხს ცხოვრება გაუადვილდესო!..

ჰიმანუმეს? ჩვენს დახლში ქესატობის თაგვები მაზურკასა თამაშობენ და ეგენი კი ხალხზე ფიქრობენ!.. რა მაზალო რამეა ჰაზირ?!... ახარ შე ბემურაზო,—ხელიც მენსკენ, პირიცა,—კამერცია საქმეში ხალხის სიმტერესისთვის ჩალიშობა რომელ კარაბადინში სწერია? რის ხალხი, რის ფსტანი, თოღ ვივაჭროთ რაღა, ფული მოვიგოთ, ხეირი ვნახოთ—და ლაზათიანი დროება გავატაროთ! არა რომ ნეპია, ჰამაც ჩასტნი კაპიტალიც ხოდშია და კანკურენციაც დაპუსტიმია?

საქმეში ხარ?.. ეგენი მაინც თავის ქიანურს უკრავენ—თუო.

— ჩვენ მშრომელი ხალხის ვლასტი ვართო, ყველაფერში ჩვენი დიქტა-ტურააო, ფაფრიკებიც ჩვენია და შეშვიდიცაო, სლოვომ ხალხისააო რაღა; ჰამაც კამპერატია იმიტომა ვშრებითო, რომა ჩასტნების სინსილა მოვასპოთო და ჰუზურში საციალიზმიც გავაკეთოთო.

მოდი შენ და მაგათ ქრისტე სთხოვე! გებნები რაღა, გებნები—ჩვენი ხეირი და პირის გემო წასულია, ძველ შნო და ლაზათს ვეღარა ვნახავთ, ჯიგრიან მარიფათებს ვეღარ გამოვიჩენთ, გინდ დაიჯერე, გინდა ნუ—მააშ!

ახარ, ჩოთქში რო ვაგდეფ, ჰუზურში ეგრე გამოდის, მაგათ ცხოვრებას აბრუნდი გაუკეთეს, მარტო ყველაფერს მოლას ფლავივით ამ მუშებსა და გლეხებს აყრიან და ჩვენისთანა ჰარჟვები კი კოზაკებივით შუაში იჭყლიტებიან!

პუპუზ, ყველას ცხვირწინ ბურნუთის კოლოფივით კაპერატია წამააჭუნტეს, ასმა, ხალხი ჩარჩების ხელში არ უნდა ჩავარდესო, ჰამა აქ ოინი ვერ გაუვიდათ: ზოგ-ზოგ ადგილას ისეთი ვინმეები შაძვრენ, რომლებიც რომ ჩვენი შმა და პირის ზიარებაა: ეს სპეციო, ეს გლავბუხიო, ეს ხრენჩიკიო, ეს კასირჩიკიო, ეს ფლანიო, ეს ფსტანიო—ვინ მოსთვლის?

არა, რომ იმათ თავისი ჰუნარები გააკეთეს: აქეთ კამანდიროვკა, იქით რასტრატა, წინიდან უტეჩკა, უკნიდან უსუშკა, ავანსი, ნაკლადნოვი რამე!... ჰამაც ცალკე კამბინაციები სხვა იყო: ზოგიერთის ძმაკაცობით და პურმარილით ჩვენ საქონელი ფაფრიკის სებესტოიმოსტით გამოგვქონდა და იმათვე კანკურენციას უწევდით!

მაგრამ მაგათ ოხტში ბოლომდის ვინმე მოვიდოდა? ჰიმკილები გაუგეს და ამისთანა ვინმეები სულ დორნიკ სუმბათას ცოცხივით გახვეტეს. ეხლა მეტეხის ციხეში რო შაიხედო, არტოს ბაღი გეგონება, რაც რომ რასტრაჩიკები და ორგული სპეცები იყვნენ, სულ იქ შაუყრიათ, ასმა, ჭკუის აკადემია უნდა გაათავებინონო,—მააშ!

დაიწყეს და ყველას კბილი ზუბაჩისტკით გამოჩხრიკეს, ბოლოს იქამდის მივიდნენ, რომ ჩვენ ჯიბრზე ფასების სნიჟენია გამაიგონეს. დოირანიც აქ გაფუჭდა ჰაა!..

იცი, როგორ სტროგათ იქცევიან? წინანდელი აქციზნი ლევანდია მაგათთანა! იმას ქრთამს მისცემდი, პურმარილით მაისყიდიდი, საქმეს საქმეზე მაიყვანდი! ამათ? აი, თელეთის მადლმა დააშამათოს მაგათი მასაბი! რასაც იტყვიან, მორჩა: იმან, ვეღარ ჩაათქმევინებ!..

არა, ჩვენ რას დაგვინდობენ, როცა თავის კაპირატიებს ხათრს არ უშვრებიან? დღეში ხუთი პრიკაზი უშვებენ:

— ჰაა, ღმერთი არ გაგიწყრეთ, როგორც სტოს დაუდგენია, ფასები რიგიანათ დააკელით, თორემ რაბკრინი გაჟუებს და მერე აიტეჩაი ჩვენ აღარ ვიქნებითო,—მააშ!

მებნებიან, ეხლა ამ დაკლების სროკი გავიდაო, სპეციალნათ დადიან, პაჟერკას უშვრებიანო, ვისაც რომ დაკლებული არ ექნება, მაშინვე სუდში მისცემენო. ერთი სიტყვით, ეხლა მოდნათ ეს ფასების დაკლება შამოსულა და სადაც გაიხედო, ყველა საქონელზე სწერია:

„რანშე სტოილ 1 მან., ტიპერ სტოიტ 60 კაპიკ!".—და ათასი ამისთანა ჯაჰრუ-დოზანა!

მეც ავდექი და იმათ პადრაჟენია გაუკეთე: ავიღე იმისთანა რამეები, რაც რომ წინა თვეებში ძვირათ ღირდა და ეხლა გაიაფდა: კიტრი, კლუბნიკა, ტარხუნა და ჰამაც სხვა შეშვიდი და რამეები ლაზათიანი პრეისკურანტი შავადგინე რუსულად და დავკიდე.

ჩემს გვერდით მეკუბოვე გიქორა ვაჭრობს. იმანაც ჩემისგანით აილო პრიმერი და კარებზე დააწერა: კუბოზე სნიჟენია მიქნიაო, ჰამაც ვინც რომ ორ წყვილს ერთათ იყიდის, იმას სკიტკა უშვრებიო, ჰუზურში მთელმა ბაზაზხანამაც ასე ქნა: ხარაზი, ყაზაზი, ბაზაზი, ხაბაზი, ტერტერა თუ ტერაცუა, ყველა იძახის—„სნიჟენია და სნიჟენიაო"....

ახრიზამანში ისე გამოდის, რომ აქამდის თუ მოგებაში და ფასების აწევაში იყო კანკურენცია, ეხლა ფასების დაკლებაშია. ჰამა მუშტარი მაინც ჩვენთან არ მოდის, ყველა კაპერატიაში მირბის, ასმა, ეს ხალხის დუქნიაო, სებესტოიმოსტსა შვრებიანო!...

აი რა ნავნები მოგვიტანეს ამ სნიჟენიით მაგ ბემურაზმა ბალშევიკებმა, თითონ მოგება არ უნდათ და ჩვენც არ გვაძლევენ, თითონ ღარიბი ხალხის გამდიდრებას ცდილობენ და ჩვენ კი სიქას გვაცლიან, თითონ ფაფრიკებიცა აქვთ და საქონელიც, დუქნებიც და ტაქციაც.

ჰაი გიდი აბასთუმან! ერთი ჩვენცა გვკითხონ, რა ჰავარი გაგვიჩინეს და!?..

— ვაჰ, „სნიჟენიის" მამგონო, თელეთმა და სურბ სარქისმა გკითხოს ჩვენი ცოდო, ფასების ასე ჰავარაკათ დაკლებისთვისა!..

**ფირსადან.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მუშკოოპის მიღწევები"



ფასების დაკლებამდე
სავსე იყო მუშკოოპი,
თავიდან ბოლომდისინ,
შეჭედილ-შენაწყობი.



როცა რომ გამოცხადდა
ამ ფასების დაკლება,
საქონელიც მაშინვე
სადღაცა იკანკლება.



მაისის ნახევარში
სულ გამოცარიელდა,
გამგეც სადღაც გაგვიძვრა
რადგანაც დრო იხელთა.




პირველ ივნისისათვის
კარები დაირაზა,
ალბათ შიგნით თაგვები
გადადიან ყირაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „საჭე მარჯვნივ"




მ. ლასკარი (საზ. „მწყემსის" სავაჭრო განყოფილების გამგე). ვინც რა უნდა ის თქვას, მე კი იქით და ისე გავატარებ ჩემს სავაჭრო პოლიტიკას, როგორც მომიხდება.

# ერთი აზნაურის გასაჭირი

რაღა დაგიფაროთ და იმ ნეტარხსენებულ ჟორდანიას დროს დიდი კაცი ვიყავი. იცოცხლეთ თქვენც და მეც, შემოსავალი მქონდა და მოხმარებაც შემეძლო. აი, სწორედ მაშინ იყო დაფასებაც და გვარიშვილობის ყადრიც. ჰო და შემოვიდენ თუ არა ეს დასაქცევი, ჩემი საქმეც უკუღმა წავიდა. სამსახურში ვინღა დამაყენებდა, მაგრამ დიდი ადგილიც რომ მოეცათ, გავჩერდებოდი თუ?

თქვენც არ მომიკვდეთ.

კომწომოლისტმა რომ ბრძანება დამიწყოს, ხომ გავთხლიშე შუაზე.

ავიკიდე ჩემი გუდა-ნაბადი და მივადექი ისევე სოფელს. რასაკვირველია, ჩვენ სოფელს ძალიან გაეხარდა ჩემი მისვლა, და ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან იქ ბოლშენიკი წამლად არ მოიძებნებოდა.

მთელი სოფელი ჩემი პარტიის იყო და ისევე ჟორდანიას მოსვლას მოელოდა. რაღა გაეწყობოდა. შევუდექი მამაპაპურ ზნეჩვეულებას და ისევე გავაჩაღე ოჯახი. ჩემი პელაგია თბილისის კლუბებში გაჩვევის შემდეგ ველარ ეწყობოდა შვა ცეცხლის კვამლს და ჭადის ცხობას, მაგრამ რაღას იზამდა. სწორედ ამ დროს შემოიღეს რეჟიმეკონომია არის, თუ რაღაცა, და ჩემი ტანჯვაც მაშინ დაიწყო. ჩამაცივდა პელაგია—ვირეჟიმეკონომიოთ და, როცა ფულებს დავაგროვებთ, იქნება რამე შევიძინოთო. ისეთ მდგომარეობაში ჩამაყენა ამ რეჟიმ-ეკონომიამ, რომ ექვს ფუთს ვიწონიდი და კანკრაზ ორ ფუთზე ჩამოვედი. ეს ამხელა კაცი ისე გავხდი, რომ ჯოჯოხეთის მაშხალას დავემსგავსე. მთელი ხუთი თვის განმავლობაში გამხმარი ჭადის და ცივი წყლის მეტი არაფერი ჩასულა ჩემ პირში. ამ ხნის განმავლობაში ერთხელ დამპატიჟა მეზობელმა, მაგრამ ვაი იმ დაპატიჟებას. ეს ჭადზე ნამყოფი კაცი დავეტაკე ხორცეულობას და ისე გავძეხი, რომ ორი კვირა ლოგინიდან არ ამდგარვარ. ასეთი ტანჯვით აგროვა და აგროვა პელაგიამ ფულები.

ერთ საღამოს დაღლილ-დაქანცულს ძილისათვის უნდა მიმეცა თავი, რომ შემოვარდა მეზობლიდან ჩემი პელაგია გაზეთით ხელში და შექნა ყვირილი:

— არიქა მიშველე, ანდუყაფარ, ეხლა გვაქვს დრო, თუ გვაქვსო.

სიხარულის ჟრუანტელმა დამიარა მთელ ტანში და ვიფიქრე: ეხლა კი მშველებია, ალბათ ბოლშენიკები გაქცეულან მეთქი, და ვეცი გაზეთს. ელვის სისწრაფით გადავათვალიერე მთელი გაზეთი, მაგრამ ამის მსგავსი ვერაფერი ვნახე.

— აგერ კაცო, აგერ, სად ეძებ, აგერ სწერია.—შემაჩერა პელაგიამ, როცა უკმაყოფილებით ხელი უნდა ჩამექნია. დავაჩერდი, მაგრამ ვერაფერი გავიგე... თვალები

# სიცარიელე




სურათი უწარწეროთაც მეტყველია.

ამოვისრისე, იქნება ძილის პირზე რომ ვიყავი, ვერ გავარჩიე მეთქი, მაგრამ ისევე ისე ეწერა.

— ვერ წაიკითხე?

— ვერაფერი გამიგია.

— მომეცი აქ, შენ ალბათ ნამძინარევი ხარ და თვალები აღარ გიჭრის, აი დაუგდე ყური მეთქი.

— „ფასების დაკლება“.

„მთავრობის დადგენილებით პირველ ივნისამდე საქონელს ფასები უნდა დააკლდეს 10 პროცენტით“,— გაიგე.

— მერე.

— მერე ის, რომ ჩვენი ეკონომია გამოგვადგება და შენ ამაღამვე უნდა წახვიდე ქალაქში, რომ იყიდო საქონელი და ჩამოიტანო. ხომ ხედავ, როგორ ვართ ჩამოცრეცილები,—ეხლავე თუ არ მოასწარი, მერე ისევ ასწევენ.

ღმერთმა დაგიფაროს ქალის შარისაგან. თუ რამე გადასწყვიტა, ბიჭი ხარ და ნუ შეუსრულებ. მეტი ღონე არ იყო, ავიკიდე ჩემი გუდა-ნაბადი, პლატოკის ყურში გამოცარი ვაი-ვაგლახით შეგროვილი სამი ჩერვონეცი და გავუდექი გზას. სადგურის მოლარეს გადავეცი სამი მანეთი ბილეთისათვის.

— ამხანაგო, თოთხმეტი შაური კიდევ უნდაო,—მითხრა მოლარემ.

— რას ამბობ კაცო, აგერ არ აწერია ფასების დაკლებაზე? წინად სამი მანეთი იყო და ეხლა დაკლების მაგიერ, მოიმატა?

— მოქალაქევ, არ მცალიან, ჩვენ ფასების დაკლება არ გვეხება. ან თოთხმეტი შაური დაუმატეთ, ან-და მოშორდით სალაროს. მეტი რა ღონე იყო, მივეცი თოთხმეტი შაური და ერთი მაგრათ შევუკურთხე პელაგიას. განა არ ვიცოდი, რომ გაზეთ'ში დაწერილი ამბები ბოლშევიარ ვიცოდი, რომ გაზეთში დაწერილი ამბები ბოლშენიკე-

როგორც იქნა, ჩევედი თბილისში. ჩემი წარმოდგენა და სოფლის მენშევიკების მტკიცება, რომ თბილისში აღარაფერი არაა, სულ მოსკოვში წაიღესო,—არ გამართლდა. თბილისი მართლა გამშვენიერებული და გამოცვლილი დამხვდა. გულზე ვსკდებოდი, რომ ვხედავდი ახალ სახლებს, გაფართოებულ ქუჩებს და „პამიატნიკებს“.

„ჩვენი ეკონომიიდან“ თბილისში ოცდა ხუთი მანეთი ჩამომყვა.

— რა ღირს, ამხანაგო, ჩითი?—შევეკითხე კოოპერატივში.

— რა ღირს და რაც წინად ღირდაო,—მიპასუხეს.

— როგორ, ეს ტყუილა სწერია გაზეთში?

— არა, მართლა სწერია,—ჩვენმა კოოპერატივმა არამც თუ ათი პროცენტი, ოცდა ხუთი პროცენტი დააკლო, მაგრამ ჩითზე კი არა, აი, სამოვარზე, უთოზე, კერასინკაზე და სხვა ასეთებზე. მიბრძანდით იმ „პასუდნი“ განყოფილებაში და ყველაფერს დაკლებულ ფასებში იყიდით.

— რას მელაპარაკები, რის სამოვარი, სამოვარი რა ეშმაკად მინდა, კაცი ამ სიშორიდან წამოვსულვარ, იქნება ოჯახი შევმოსო და შენს სამოვარს რა თავში ვიხლი?

— აბა არა მცალია, ამხანაგო, ხომ ხედავ, ხალხია, თუ არ მოგწონს ეს ფასები, წადი და განაცხადე.

— როგორ თუ განვაცხადო , ვისთან განვაცხადო,

# რად იწევს დაბლა



— როგორ დაბლა-დაბლა იწევს ეგ ბუშტი?

— მამაცხონებულო მა, ფასები ხომ არ არის რომ მაღლა აიწიოს...

ვისთან, როცა ყველა მცარცველები ხართ და ატყუებთ ხალხს. აი დაიქცეს ბოლშენიკების სახსენებელი, რომ თქვენ ქვეყანას ატყუებთ და საქართველო გაანადგურეთ. უკანასკნელი სიტყვის დამთავრება კარგა ვერც კი მოვასწარი, რომ ვიღაცამ ხელი მტაცა და ნახევარ საათში ვირის აბანოში ამოვყავი თავი. თურმე, ნუ იტყვით, იჩეკა არის თუ რაღაცა, მთელი ექვსი წელიწადი მეძებდა. ათასნაირად გადაიღეს ჩემი სურათი, მაგრამ არ იქნა და ვერ ნახეს მგვანება ჩემ ძველსა და ახალ სურათს შორის. აწ რაღათი ვემგვანებოდი, როცა მაშინ ექვსი ფუთი ვიყავი და ეხლა კი ორ ფუთზე დაველი. დიდი ვაი-ვაგლახით ორი კვირის შემდეგ გამომიშვეს: ჩაჯექი ეხლავე მატარებელში და შენი და შენი სახსენებელი აღარ იყოსო.

ჩვენი ეკონომიიდან ორათ-ორი მანეთი ჩამომყვა სახლში. ის დღე და ეს დღეა, მე და პელაგია ვწყევლით ამ გასაწყვეტ ბოლშენიკებს, მაგრამ, საქმე არა გაქვს,—მაინც არაფერი არ გვეშველა.

 შ. გორისელი.

# გიგოლას ტრაგედია

— ქალო, ქალო ნატო, როგორი ახალი ამბავი გითხრა!

— რა იყო ქა!

— რაი და ნინიკაანთ მიხომ ქალაქიდან გაზეთი ჩამოიტანა, სადაც სწერია: ფასები დაუკლიათ ჩითზე, ნარმაზე და სხვა. სულ ნახევარის ფასად არის თურმე ყველაფერი.

— აბა როგორ დავიჯერო შენ კი გენაცვალოს შენი ბაბალეი. სწორედ რომ კაი საქმე არის თუ მართალი გამოდგა ეგ შენი სიტყვები.

— მართალი რომელია ქა! მთელი სოფელი მიდის ქალაქში სავაჭროდ. ჩვენც უნდა რამე მოვახერხოთ და წავიდეთ, თორემ სხვები მიგვასწრებენ და ხომ იცი ფასებმა შეიძლება ისევ-ისევ აიწიოსო, ასე ამბობენ მამა!

— უნდა როგორმე მოვახერხოთ; ჩაერია ლაპარაკში ნატოს ქმარი გიგოლაი.

— როგორ ლაპარაკობ გიგოლი; შენა გგონია, რომა ე ტიალი ფული მამიჩემის ნინიკაის მოჭრილი იყვეს. საიდან რას იშოვნი.

— საიდანა და ჩვენა რომ დეკეული გვყავს ორი წლისა, ის გავყიდოთ და იქნებ ჯალაბი შევმოსოთ როგორმე იმ ფულებითა. გუშინ ზაქროანთ მიტრო მევაჭრა სამი თუმანი მაძლია. მოვრიგდეთ კიდეცა და ამ სალამოთი ამოიტანს ფულსა და გავსწიოთ ქალაქისაკენ.

— აი მეხი კი დაგაყარე მაგ გამხმარ თავზეა, თუ კიდეც გაურიგდი მიტრუასა მე მიმალავდით განა!

— არა დედაკაცო, მთელი სოფელ-ქვეყანა რო ფასების დაკლებაზე ლაპარაკობდა, მეც ავდექი და მოურიგდი მიტრუას დეკეულში და თუ შენი თანხმობაც იქნებოდა მაშინ კი გავსწევდით ქალაქშია სავაჭროთ.

— გიგოლი, გიგოლი, ერთი გადასძახე მიტრუასა, თუ ფულს ამ სალამოთსვინ არ ამოიტან თქო დეკეულს ფირანაანთ გიგუა წაიყვანს სამ თუმან ნახევარს იძლევა, მარა შენ ხათრს გიჭერთ თქო.

გიგოლიმ შეასრულა ცოლის რჩევა და ჩაირბინა მიტრუასთან; გამოართვა დეკეულის ფასი სამი თუმანი და გახარებული მოიჭრა ნატოსთან.

— აბა დაუჩქარე დედაკაცო, აი სამი თუმანი უკვე გამოვართვი მიტრუასა, ისე დაწეული ყოფილა ფასები, რომა მგონია ნახევარი ქალაქი წამოვიღოთ ამ ფულითა. აჰა, დაუჩქარე მეთქი, თან ცოტაოდენი რამე წავიღოთ გასასყიდი იქნებ ოთხ თუმნათ შევასრულოთ ეს ფული, თორემ ხო იცი იქამდი კაი გზაა და პოეზის ქირაში მაინც გამოგვიყვანს. არ დაგავიწყდეს კიდევ ნატო, იქ ნათლიასთანაც უნდა მივიდეთ და თუ არაფერი არ წაუღეთ არ ივარგებს; ხომ იცი ჩემი ნათლიიშვილები ტუდენტები არიან და დაგვეხმარებიან, თორე ისე აბა ჩვენ ხომ ვერაფერს გავარიგებთ.

— აჰანდე, მეხი კი დაგაყარე მაგ თავზედა, ტუდენტობა რაღა გასაკვირია, ეხლა ხომ ყველა ტუდენტეაია. მაშ რაღა თავი მოგაქვს შენი ნათლიიშვილებითა. პატარა ხანში ჩემი ბიჭიც კი გატუდენტება აი.

— მორჩი. მორჩი, დედაკაცო რო მოყვები ლაქლაქსა და ველარ გაათავებ ხოლმე.

სალამოსთვის უკვე ყველაფრამდი მზად იყვენ ჩვენი გიგოლი და ნატო. შეაბა ხარები, დაადვა ზედ სამიოდე ხურჯინი, ტიკჭორით არაყი, დააჯინა ცოლი ურემზე და თავისი პაწია ბიჭი და გამოსწია ქარელის სადგურისაკენ.

რამოდენიმე საათის შემდეგ გიგოლი და ნატო მატარებლით მიჭქროდენ ქალაქისაკენ. გორს არც კი იყვნენ მოახლოვებულნი, რომ გიგოლის თავზე დაადგა ერთი ახმახი „პრავადნიკი“ და ეუბნება: „ტი ეი, რაზვე ნე ზნაეშ ჩტო ნაპოლ ნელზია ბრასატ აკურკი“. ცოლ-ქმარი დაიბნა ვერა გაიგეს რა. რამოდენიმე წუთი და გიგოლის თავზე წამოადგა რევიზორი და რამოდენიმე თოფიანი „ახრანიკი“ ეხლა კი მიხვდა რაშიც იყო საქმე. მინავათ პაკალუსტა, სიჩას, სიჩას სულ ჩემი ხელით მოვაგროვებ, რაც პაპიროსის ნამწვავია და ვაშლის კანები და გიგოლი შეუდგა იატაკის გასუფთავებას.

— ტი მნოგო ნე რასუჟდაი, ზაპლატი შტრაფ ტრი რუბლია.

— რაო შტრაფი ვინ მომცა, გიჟი ხომ არ ხარ. ეს არი ფასები დაწეულიაო და თქვენ კი მაშინაზე ჯდომის ფასიც კი აგიწევიათ.

— ჩქარა, ჩქარა კაცო. ამოიღე სამი მანეთი დაუმატა ცივად რევიზორმა. გიგოლიმ შეატყო, რომ ხვეწნით არაფერი გამოვიდოდა და გადაიხადა სამი მანეთი ჯარიმა. ტფილისში ჩამოხტენ თუ არა სადგურზე იქვე შეაჩერეს:

— ამხანაგო, მოიცა, მოიცა შენი ხაბაკი მგონი ნორმაზე მეტი უნდა იყოს და უნდა ავწონოთო. გიგოლის დაცეცხლა თავში, მაგრამ მეტი რა გაეწყობოდა დამორჩილდა ბედს. მუდარით ეუბნებოდა, რომ ეს ჩემი ნათლიმამისთვის მაქვს წამოღებული ფეშქეშათ. გამიშვი თუ ღმერთი გწამს დამაგვიანდებაო.

— ეგ სულ ერთია, ნათლიმამისთვის გაქვს წამოღებული თუ ნათლიდედისთვის, ჩვენ კი იმას გეუბნევით, რომ მაგოდენი ხაბაკის წამოღება მატარებლით არ შეიძლება. აი ეხლავე ავწონით მაგ ხაბაკს და თუ მეტი გამოვიდა შტრაფს გადაგახდევინებენო.

აწონეს გიგოლის ბარგი-ბარხანა და ვინაიდან მეტი აღმოჩნდა ნორმაზე გადაახდევინეს ექვსი მანეთი და 31 კაპეიკი. დაღონდა ცოლქმარი, მაგრამ რას გაარიგებდენ.

მთელი დღე მოუნდენ ქალაქში სიარულს. ვერა გაარიგეს რა. მიაგნეს ბოლოს მუშკოოპს, იკითხეს ერთგან ჩითი. არ არის იყო პასუხი. ნარმა არა გვაქვსს, უპასუხეს მოკლეთ. საპონი;—გამოგველია, მიახალეს ცივად. ბოლოს შევიდენ კოოპერატივში. დაუფასეს ჩითი ცხრა შაური, ცოლქმარს ეუცხოვათ.

— ეგ არის თითქო ფასები დაკლებულიაო. ამოდენა ხარჯი გამიწევია და სოფლიდან ჩამოვსულვარ ცოლშვილით, დეკეულიც გამიყიდნია, რომ ჯალაბობა შემემოსა და თქვენ კიდევ დაწევის მაგიერ სულ ზევით აგიწევიათ ფასები. ე როგორ იქნება, ორ აბაზათ ქარელის ტანციაში იმითანა ჩითს ვიყიდი, რომა უკეთესი მთელ დუნიაზე აღარ იყოს.

— არა გვცალიან ამხანაგო. ხედავ რამდენი მუშტარი გვესევა. თუ რისამე ყიდვა გინდათ იყიდეთ, თორემ ჩვენ შენი მუსაიფის თავი არა გვაქს. დრო მიდის—აი შეგიძლიანთ ფას დაკლებით შეიძინოთ, კედლის საათი, სარკე, დანა-ჩანგალი. ლამფები პუდრი, დუხი და რაც გინდათ, შედით პირდაპირ განყოფილებაში.

— კედლის საათს რა თავში ვიხლი, ან ლამფა რა ჯანაბათ მინდა, მე იმითვინ ჩამოვედი, რომ ჯალაბი შემემოსა ჩითი და ნარმა მეყიდნა. თქვენი სარკე თავში იხალეთ. რომელი ბურჯუი ჩვენა ვართ, რომ მაგითანეებში დავაბადოთ მამასისხლად ნაშოვარი ფული. და ბუზღუნბუზღუნით გამოვიდა გარეთ ჩვენი გიგოლი და ნატო.

ბევრს კიდევ იტრიალებდენ მაგრამ იღბლად ერთი ნაცნობის წყალობით დეზერტირკაზე იყიდეს ამერიკული ტანსაცმელები და დაღონებულები დაბრუნდნენ სახლში. ასე დასრულდა გიგოლის და ნატოს მოგზაურობა. სოფელში კი სულ გაიძახოდა გიგოლი:

—— აი დაწყევლოს ქიტემ ი რაღაც აწევა თუ დაწევა. მე კი გავბრიყვდი და შევირცხვინე თავი სოფელ ქვეყანაში აწი გინდა აუწიონ და გინდა დაუწიონ, ქალაქის ლანდს კი ვაღარ დამანახვებენ და...

თაირ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— სად მიეჩქარებით ამ პაპანაქება სიცხეში?

— ასეთი ამბები გაგონილა! მუშკოოპში ფასები დაკლებულიაო გაიძახიან, მეც ავყევი ფეხის ხმას, წაველი სასყიდლებზე, მაგრამ ხედავ, შინ ხელცარიელი ვბრუნდები.

# გაიაფების შედეგი

— ჯამაგირი მიიღე?—ჰკითხა ცოლმა სამსახურიდან დაბრუნებულ სოლომონს.

— არ მიმიღია,—ფული არ იყო.

— გასაკვირალია შენი ყოფაქცევა სწორედ,—უკმაყოფილოდ სთქვა ქალმა,—ჩვენმა მეზობლებმა ყველამ მიიღო და შენ...

— გასაკვირალი ჩემი კი არა, ჩვენი მოლარის ქცევაა,—იმართლა თავი სოლომონმა.—რამდენჯერ შევეხვეწე თავის დროზე მალირსე მეთქი, მაგრამ... ,

— არ გეღირსა შენ და იმ შენ მოლარეს ზიარება!—შეუკურთხა ცოლმა.

— ზიარებისთვის არც ერთი არ შეგიწუხდებით, მაგრამ უფულობა მეც მაწუხებს. ხომ ხედავ, სამი დღეა, პაპიროსს „შტუკობით“ ვყიდულობ.

— პაპიროსი კი არა, ბალიშის პირი აღარაა.

— ბალიში რად გინდა, შე ქალო; ძილს სასთუმალი არ უნდაო,—ხომ გაგიგონია?

— თუ კაცი ხარ, ნუ ხუმრობ. ფასები დაკლებულია და ახლა თუ მოვასწრებთ რაიმეს ყიდვას, თორემ ეს ფასების დაკლების კამპანია ჩატარდება და მერე ისევ გაძვირდება ყველაფერი.

— როგორ, ვითომ დაკლებულია?

— როგორ თუ ვითომ? „ფასები დიდმნიშვნელოვნად დაკლებულია“,—ასე აწერია ყოველ მაღაზიას. თითქოს არ იცოდე.

**ივლიანემ მეორე დღეს მიიღო ჯამაგირი.**

— აბა წავიდეთ, კამპანია არ გათავდეს,—აჩქარებდა ცოლი.

— რის კამპანია, ქალო, დაპატიჟებული ვართ სადმე საქეიფოთ?

— ქეიფის კი არა, ფასების დაწევის კამპანიას გეუბნები, წამოდი ჩქარა, თუ ღმერთი გწამს.

წავიდენ სავაჭროდ. შევიდენ მუშკოოპის მაღაზიაში.

— ფასები დაკლებულია, ამხანაგო?

— დიდმნიშვნელოვნად!—უპასუხა ნოქარმა.—ამაში ახლავე დარწმუნდებით. აი, ეს დუხი, რომელიც ღირდა სამი მანეთი და სამი კაპიკი, ახლა მრგვალი სამი მანეთი ღირს. ხომ იცით, კაპიკი რომ კაპიკია, ისიც ფულია, და სამი კაპიკი ხომ მართლაც ღირებულებას წარმოადგენს. აი, მაგალითად, სამ კაპიკად ოთხი ცალი ასეთი ტიანუშკა შეგიძლიათ შეიძინოთ. ნამდვილი ნატკოვიჩია, გრანიცის ტიანუშკაა.

— როგორ, ადგილობრივი არ ვარგა, თუ?

— არა, ადგილობრივიც კარგია, მაგრამ გრანიცის ამბავი ხომ იცით, სულ სხვა რამეა. აი, ირის ეინემ დარდანელ ტიანუშკა, პირდაპირ დარდანელიდან მოდის.

— მე უფრო საბჭოთა წარმოების მირჩევნია, ხომ იცით, შინაური მღვდელი გარეულს გირჩევნოდესო...—მოიყვანა ანდაზა სოლომონმა.

— ეს მართალია, მაგრამ მაინც ხომ იცით...—დაიბნა ნოქარი.

— ამიწონეთ, ამიწონეთ, მეგობარო, ვნახო, როგორია!—სთქვა სოლომონმა.

— რამდენი კილო?

— ჯერ ოთხი იყოს... არა, ოთხი ცალი... რამდენი უნდა? სამი კაპიკი? დამიწერეთ ჩეკი,—სთქვა სოლომონმა და „ტიანუშკა“ პირში ჩაიგდო.

— რა დროს ტიანუშკაა!—გაჯავრდა სოლომონის მეუღლე.—ფართალი გაქვთ?

— როგორ არა, მაგრამ ჯერ ეს კოფეინიკები ნახეთ,—დაფაცურდა ნოქარი.—ნამდვილი ალიუმინია, ჩვენებური ყავა რომ ჩაყაროთ, ნამდვილი ოსმალური გეგონებათ, ისეთ გემოს აძლევს ეს კოფეინიკი...

— რა ღირს?—იკითხა მარინემ (სოლომონის ცოლმა).

— ო-ო! ამაზე ფასები მნიშვნელოვნად დაკლებულია: ღირდა ათი მანეთი, ახლა ღირს ცხრა და ათი შაური.

— შეახვიეთ, წავიღებთ.—სთქვა მარინემ.

— აბა ეს სამოვარიც ნახეთ!—თავაზიანად მიმართა ნოქარმა.—ნამდვილი ემალისაა.

— ფასი?

— დიდმნიშვნელოვნად დაწეულია.—ხმადაბლა უპასუხა ნოქარმა.—ღირდა ხუთი თუმანი, ახლა ღირს ორმოცდა ცხრა მანეთი. თუ წაიღებთ ახლა, თორემ მერე გვიან იქნება.

— შეახვიეთ, წავიღებთ!—წარმოსთქვა მარინემ.—სოლომონი შეშფოთდა ამ სანახაობით იგი იმდენად შეკრთა,რომ პირში საწუწნად ჩადებული „ტიანუშკა“ ყელში გადაცდა.

— ჰოი, დასწყევლოს...

— რა დაგემართა, კაცო?

— ტიანუშკა გადამცდა... მაგას გაუძლებ, მარა, ქალო გაგიჟდი? რად გინდა ამ საყავეს და სამოვარს რომ ყიდულობ, სად არის ამდენი ფული?

— გექნება. მერე ფასი აიწევს! თითქმის უბრძანა მარინემ და ნოქარს მიუბრუნდა ჩაის სერვიზისათვის.

— აი, ნამდვილი ჩაის სერვიზი ქალბატონო! წმინდა ბარიატია...

ვითომ ბარიტი კარგია?

— ო-ო! შესანიშნავი! ნუ თუ არ იცით?

— ალბათ ძვირი იქნება, რა ღირს?

— ჰმ! გააქნია თავი ნოქარმა. მერწმუნეთ, რომ ამ სერვიზის ფასები მრავალმნიშვნელოვნად დაწეულია: წინად ღირდა სამი თუმანი, ახლა—ოცდა ცხრა მანეთია.

— არ მინდა ძმაო, არა... განაცხადა პროტესტი სოლომონმა.

— შენ არ გინდა, მე მინდა, წყრომით უპასუხა ცოლმა და ხმას დაუდაბლა.—კაცო, ხომ ხედავ, ჩაის სმაზე რა ოჩერედია ჩვენსას. ჭიქების უქონლობით?

სოლომონი გაჩუმდა. იცოდა მარინეს ჯიუტობის ამბავი. გულის გადასაყოლებლად მან კიდევ ჩაიგდო პირში „ტიანუშკა".

— აი ეს ვაზებიც,—არ ცხრებოდა ნოქარი. ისეთი ვაზებია, რომ მურაბა და სხვა ტკბილეულობა თავისი ნებით ჩადის შიგ.

— გადმოდგით. რა ეღირება?

— თითქმის არაფერი. ვაზებზე ფასი დიდათ საგულისხმოდ დაკლებულია.

ამრიგად, მარინემ ჭურჭლეულობას მოანდომა ჯამაგირის უმთავრესი ნაწილი, ფასების დაწევის გამო.

— გადავიდეთ საფართლო ნაწილში,—თითქმის ვედრებით უთხრა ცოლს ცრემლმორეულმა სოლომონმა, რომელსაც უბედურება უბედურებაზე დამატებოდა: მეორე „ტიანუშკიც" გადაცდომოდა ყელში სრულიად მოულოდნელად.

გადავიდნენ საფართლოში.

— ფასები დაწეულია? ჰკითხა მარინემ.

— მეტად მნიშვნელოვნად,—უპასუხა საფართლო ნაწილის ნოქარმა.

— მაშ მოგვიჭერით საზეწრე მატერია ათი მეტრი.

— აქედან პირდაპირ არ ვიძლევით, ორდერი უნდა აიღოთ მუშკოოპის გამგეობაში.

— როგორ მიტკალს არ მოგვცემთ?

— გამგეობის ორდერით მხოლოდ.

სოლომონს მუშკოოპის საწევრო წიგნაკი ჯიბეში ქონდა. ორივე ცოლ-ქმარი მუშკოოპის გამგეობაში გაეშურენ.

მხოლოდ ექვსი მანეთი გაქვს გადასახადი საწევრო. უთხრეს გამგეობაში სოლომონს. ახლავე უნდა შემოიტანოთ ექვსი მანეთი, თორემ გამოირიცხებით წევრობიდან.

სოლომონმა შეიტანა საწევრო—6 მანეთი. ეს სწორედ ის ფული იყო, რომელიც ჭურჭლეულს გადაურჩა და მიტკალისთვის იყო გადადებული. ასე რომ ფართლის ფული აღარ დარჩა.

სოლომონს გამოუწერეს ორდერი ათი მეტრი მიტკალის მისაღებათ.

— ესეც შენი ფასების დაწევის კამპანია, ბუზღუნობდა სახლში მისული სოლომონი. მაგის გულისთვის უფულოდ დავრჩი! რა ჯანაბათ მინდოდა სამოვარი და საყავე? ახლა უცადე მეორე ჯამაგირს... მანამდე ეს ფართლის ორდერი იქნებ გაუქმდეს კიდეც... ამ სიტყვებზე სოლომონმა პირში ჩაიგდო უკანასკნელი ტიანუკშა და უკმაყოფილოდ შეაშტერდა „ბარიტის" სერვიზს.

**ალლარ-ალლარსან.**

# წარმოდგენის შემდეგ

თეატრიდან დაბრუნდა ელენე. მეიერხოლდის მიერ დადგმულ პიესებს ერთხელაც არ გამოკლებია. ესაუბრებოდა თანამგზავრს პიესა: „ტყე", „მხარტისა" და „მანდატის" შესახებ.

რუსთაველის პროსპექტს გაცდენ. ნიკომ საუბრის კილო შესცვალა. ჩამოაგდეს სიტყვა ზაჰესზე, თბილისის განათების შესახებ და სხვ. ნიკომ ყურში რაღაც ჩასჩურჩულა ელენეს. ელენე დაიბნა, გაწითლდა, თან ცალი თვალით ნიკოს გადახედა და გულიანად ამოიოხრა. ნიკომ საკანდიტეროში მიიპატიჟა ქალი. ქალმა დაგვიანების მიზეზით უარი განაცხადა. სთხოვა, რომ სახლამდის მიეცილებია.

გაუხვიეს მარცხნივ. ნიკოს ბრაზი მოერია, რომ ზაჰესის სინათლისაგან აქაც დღესავით იყო გაჩირაღდნებული.

— დასწყევლოს ღმერთმა,—ამბობდა ის თავისთვის.—რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვეულებრივ ბნელოდეს?

ელენეს სილამაზეს აორკეცებდა მის ვარდისფერ ლოყებზე დაფრქვეული ელექტრონის სხივები.

ორივეს შემოაკლდათ სალაპარაკო. ბოლოს ისევ ელენემ დაარღვია სიჩუმე.

— იცი, რა გითხრა, ნიკო? წელს მგონი ისე გაგრძელდეს ეს წვიმები, რომ საგარაკოთ წასვლა არც კი დაგვჭირდეს. ჩემს ქმარს სულ იმას ჩავჩიჩინებდი, რომ დროით დაექირავებია აგარაკი.

— რა თქმა უნდა, რომ საჭიროა დროზე იზრუნოს ვაცმა აგარაკისათვის. მართალია, ჯერ-ჯერობით გრილი ამინდებია, მაგრამ ისიც მოსალოდნელია, რომ ეს წვიმიანი ამინდები უეცარმა სიცხეებმა შესცვალოს!—და ნიკომ მკლავი-მკლავში გაუყარა ელენეს.

— მართლა, იცი ელენე! ყველაფერს აჯობებდა, რომ საგარაკოთ შორს არსად წასულიყავით. უმჯობესი იქნებოდა აქვე კოჯორში დაბინავებულიყავით, მით უმეტეს, რომ ყოველ უქმე დღეებში შემეძლებოდა თქვენი სიახლოვით დატკბობა.

ელენემ ჩაახველა ნაზათ, თმა გაისწორა და ნაზათვე უპასუხა ნიკოს:

— ჩტო ვი? განა შესაძლებელია მაგგვარი მსჯელობა? მე ხომ ქმარშვილიანი ქალი ვარ და მოვალეობაც სულ სხვას მოითხოვს ჩემგან?

— არა უშავს, ჩემო ანგელოზო; ერთი კი არა, ცხრა ქმარი რომ გყავდეს, შენს თავს მაინც ველარავინ წამართმევს.

— ვოტ ეშჩო! ნუ თუ მასეთი მომხიბლავი და მიმზიდველი რამა ვარ? მე კი ჩემი თავი ისე მეჯავრება, რომ... ახ, არ ვიცი, არა ღმერთმანი...—და ელენემ კოპწიად შეარხია ტანი და სიამაყით გადახედა თავის მოსაუბრეს.

— ვფიცავ ყოველივეს, რომ შენი გულისათვის სიცოცხლესაც კი გავწირავდი.

— როგორ?

— როგორ და დაგანაცვლებდი მთელს სიცოცხლეს, ცხოვრებას და თვით ჩემს სიყვარულით ალსავსე გულსაც.

— ახ ტი, ჩორტ! რათ იცით ხოლმე ვაჟებმა ეგეთი ლაპარაკი? არ იცი, რომ ჩემი გულის მონადირება ადვილი საქმე არ არის?

— შენი გული მილიარდიც რომ დაჯდეს, მაინც ჩემი უნდა გახდეს. დარწმუნებული იყავი, რომ შენს ქმარს ჩემზე უფრო არ ეყვარები!—და ნიკომ საკოცნელად გადაიწია.

— ნე ბალუისა, ნიკო! შეგვხედავენ, ქმარს ამბავს მიუტანენ და მთელი აურზაური ატყდება. სხვა დროს იყოს, ეხლა კი მშვიდობით.

ელენე ხელიდან გაუსხლტა ნიკოს და აირბინა გრძელ კიბეზე, ზარი დარეკა. ერთხელ კიდევ მოიხედა ნიკოსაკენ და ნაზი ღიმილი გააყოლა გულდაწყვეტილ ნიკოს.

გაიღო კარი და ქმარმა საყვედურით მიმართა ელენეს:

— სად დაიკარგები ხოლმე, არ იცი, რომ ათასი საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა




ყველაზე უფრო ფასდადებული
საქონელთ შორის უფასო ფასით,

გადაფასება, მოხდა ზედმეტად
და დაიწია ერთი ათასით.

მეები მაქვს და ამ ბაღანას ქემაინც ნუ შემომატოვებ ხოლმე, ერთი დღე მაინც იქნებოდეს მისთანა, რომ შინ თავის დროზე დაბრუნდე.

ელენე ციგად შეხვდა ქმარს. საყვედურითვე უპასუხა:

— როგორ, ღმერთო კი მომკალი! შენ ის გინდა, რომ სულ სახლში ვიჯდე და გარეთ ცხვირი არ გამოვყო. დიახ, როგორ არა! ვერ მოგართვეს, ვერა! წავიდა, გაფრინდა ის დროება, როცა ქალები მამაკაცების მონები ვიყავით. არ მოგწონვარ, არა ხარ კმაყოფილი ჩემი მოქმედებით, მაშ მშვიდობით ბრძანდებოდე, აი, ამ წუთში მივდივარ!— ელენემ წასვლა დააპირა, მაგრამ ამ დროს დაიწყო წივილი ბავშვმა და ელენეს ყურადღება მიიპყრო. შეჩერდა, დაუყვავა ბავშვს.

— შე ოჯახდაქცეულიშვილო, რა ეშმაკი შეგჯდომია, ხომ არაფერი გინახავს, რომ აგრე ერთბაშად გამოიცვალე?—აღელვებით ეკითხებოდა ქმარი.

— გამოვიცვალე რომელია! მთელი სეზონი ისე გავიდა, რომ ოპერაში ერთხელაც არ წავსულვარ. ძალიან აქებენ,—ერთი „სამსონ და დალილა“-ს მაინც დავსწრებოდი. კიდევ—„ამერიკელი ძია“ მესამოცედ დაიდგა რუსთაველის თეატრში და მე კი ერთჯერაც არ დავსწრებივარ. შენს ხელში ყველაფერს მოკლებული ვარ. ეხლა კიდევ მეიერჰოლდის გასტროლებზე მთელი ხალხი ესწრება და მე კი ტუსაღივით უნდა ჩავიკეტო სახლში. ვერ მოგართვეს, ვერა! აქამდისაც რომ გითმენდი, მაშინაც სულელი ვიყავი, თორემ აწი მაინც ველარ გამაბრიყვებ!—ელენემ თვალებზე ხელი მიიფარა და მოჰყვა წუწუნს. სტიროდა ნაძალადევათ. სცადა ქმარმა ელენეს დამშვიდება, მაგრამ არაფრით მოხერხდა. ელენე უფრო განერვიულდა. დაუყვავა კიდევ ქმარმა, მაგრამ ქალი მაინც ვერ დაამშვიდა. სასოწარკვეთილებას მიეცა ქმარი. ელენე კვლავ წუწუნებდა, საყვედურობდა თავის ქმარზე, ხოლო თვალწინ კი ცოცხლად უდგა ნიკოს სახე, ალერსიანი სიტყვები და ათასგვარი დაპირებები.

ოდილმადი.

# სიკოიას გასაჭირი

არა მყავს კაცი პატრონი თვარა კვდარი კატა უნდა ჩამარტყას თავში. მე მამაძაღლს რა მაჩქარებდა, სადღაური დიდი გენიოსი მე ვარ რომ ერთი წაკითხვით გევიგე ყველაფერი. მე შენ გეტყვი აზოვსკი ბანკის დილექტორის ხელმოწერილი ვექსილი მედუა ჯიბეში.

ჩემი ცოდვა ქონდეს, ვინცხამ გაზეთში დაწერა ფასების დაკლება, იმან ჩემი ოჯახი დააქცია.

— რაღა ბევრი გავაგრძელო, ერთ დღეს გაზეთ „მუშა"-ს ვკითხულობდი, იგია ჩვენი ამბავის მომტანი თვარა ნუ გეშინია ჩვენმა გლეხკომმა უცებ არ გაგიშუქოს ქვეყნის ამბავი. ხოდა წავიკითხე ერთი სათაური: **„ფასების დაკლება"** ჩავყევი ბოლომდი და ისე თქვენ გეიხარეთ რავარც მე სიხარულით ცაზე ხელი მიმიწვდა. მოდი და ნუ გაგიხარდება. დალოცვილი კომუნისტებს უცებ ომი გამოუცხადებია იმ შეჩვენებულ სიძვირიზა და სულ კბილები ჩაუნტვრევიათ.

უნდა ჩავატაროთო ფასების დაკლებაო, ყველაფერი იაფათ უნდა გაიყიდოსო, სასტიკი ზომები უნდა მივიღოთ კომპერატივის ვირთაგვებზეო, იმ დროს ჯიბეში გახვრეტილი კაპეიკი არ მქონდა.

ვიფიქრე, ვიხეთქე თავი მარა, ვერაფერი მევიგონე, უცებ მომაგონდა ჩემს კესარიას ოცი ქათამი, ათი ბატი, და ხუთი ინდოური ჰყავს, გავყიდი და ფულებს ავიღებმეთქი. ვეცი კესარიას, ჩამევიკიდე კისერზე, ერთი მაგრათ ჩავპროშტნე და ვახარე ფასების დაკლების ამბავი, ნუ გეშინია შენ საწყალო კესარია, რადგანაც ყველაფერი გაიაფდა, სულ კოჭებამდი ჩაგაშევიოტებ მეთქი. მარა ერთი რამე უნდა გითხრა, თუ ჩემი ხათრი გაქ არ გამაწბილო მეთქი

ბეჩა სიკოია რას მეტყვი იმფერს რომ ვარი გითხრაო, მომცა პირობა და ქეც შემისრულა.

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით კარებზე მოგვადგა ერთი კაცი ჯორით. მივილე გურული კაცის წესზე და თან ვფიქრობ, ვინაა აგი შტერი კაძახი რომ მომადგა ცარიელი ჯორით მეთქი, ველარ მოვითმინე და ვკითხე, საიდან მობრძანდებით ამ ჯორით?

სტუმარმა მიპასუხა, მე ქალაქიდან მოვდივარო, ტელეგრამა ჩამოვიტანე სოფელშიო, ყველაფერი გაიაფდაო. ყველგან კომპერატივში საქონელი ნახევრის ფასათ უნდა გაიყიდოსო.—კაცო მართალია სოფელი ჩამორჩენილი არის ქალაქზე მარა ტელეგრამას ტფილისიდან ჯორებით გზავნიან მეთქი.

არა. ძმაო, ჩქარი მატარებლით ჩამოვედი ეს ჯორი სადგურში დავიქირავეო;—მერე რა უნდა წეიღო ჩემგან მაგ ჯორით მეთქი. დამკრა ფხარზე ხელი და მითხრა:—მევიცი შენ ფული არა გაქო, შენ კიდევ ოჯახში გეყოლება შინაური ფრინველი, დავჯდეთ ძმურად ვიანგარიშოთ საქონელი მე და ფული შენო.

მოუყარა თავი კესარიამ ქათმებს, ბატებს, კვატებსა და ინდოურებს. დავჯექით და ვივაჭრეთ, ვაჭარმა ამოიღო ჯიბიდან ჩოთქი და დაიწყო ანგარიში.

აი ძმაო, ნარმა ღირდა სამი აბაზი, დღეს ღირს ექვსი შაური, შენი დედალი ღირდა ათი შაური, ახლა ღირს ხუთი შაური, ოცი დედალი, ოცი ხუთი შაური ეს შენი ხუთი მანეთიო, ფანელი ღირდა მეტრა მანეთნახევარი, დღეს ღირს თუთხმეტი შაური, ინდოური ღირდა ორი მანეთი, ახლა ღირს მანეთი, ხუთი ინდოური ესეც შენი ხუთი მანეთიო, ათი ბატი ღირდა ათი მანეთი გავყოთ შვაზე ესეც შენი ხუთი მანეთიო.

ოცი დედალი, ათი ბატი, ხუთი ინდოური სულ შეადგენს თუთხმეტ მანეთსო.

ამოიღო ჯიბიდან დამიტია თუთხმეტი მანეთი და წაიღო ჯორი, ტვირთული.

მეორე დღეს გათენებამდი მივადექი ჩვენ კომპერატიას, წევიყვანე ცოლი და შვილები, ვიფიქრე ამ სიეფეში თუთხმეტი მანეთის ფართალს ერთი კაცი რავა წამეიღებს მეთქი, გაალენ კომპერატივი და შევედი, მიულოცე ფასების დაკლება პრიკაშიკს. ჩამოუთვალე რაც მეყოფოდა ოჯახში, მოდგა პრიკაშიკი და გადმომიზომა, პრიკაშიკი გაშტერებული მიყურებდა, გაკრა გამოკრა და მიანგარიშა ორმოცი მანეთი, რომ დამარტყა რაცხამ თავში ფეხის ფრჩხილებამდე დეიარა, შემომეყარა გულზე.

—კაცო აკი საქონელმა ფასები დეიკლო, ნახევრის ფასათ გეიყიდებაო.

— ეე, ჯერ სადა ხარ, ტფილისში ხომ არ გგონია შენი თავიო, სანამ ფასების დაკლება სოფელში ჩამოვა, ჩინეთი და ჩემბერლენი შერიგდებაო, ან და რომც ჩამავიდეს მანეთზე მეიკლებს რვა კაპეიკს ან ორ შაურს.

— აბა ვაჭარმა რომ ტელეგრამა ჩამეიტანა სოფელში კომპერატიებში ნახევარის ფასად გეიყიდებაო საქონელიო, ტყუილია.

— ოო, იმას კი მოუტყუებიხარო, მიპასუხა ნოქარმა.

ვირტყი თავში ხელი, დავაქციე ოჯახი, იმ ღიპიანმა ვაჭარმა მომატყუა, წეიღო ჯორის ჭვირთული და დამიტოვა თუთხმეტი მანეთი. გამოვჭერი ყელი საწყალ კესარიას, შევიოტი კი არა საცვლებიც ველარ უყიდე, თუ დევინახე იგი დედაგალლეტილი ღიპიანი ვაჭარი ჩვენ სოფელში საქალამნე ტყავს ავაძრობ ზრუგზე, ნეტავი როდის ჩამოვა სოფელში ფასების დაკლება?

**ხვიშტილაკი.**

# წამალი თუ საწამლავი

მცხეთის ნავთსადენის
მუშა-მოსამსახურეთ,
ნახავთ მოთმინებით და
თანაც ბედის შემყურეთ.
ექიმი რომ არა ჰყავთ
მუდამ გორში გარბიან,
წამალს ვერ შოულობენ,
თავსაც არას არგიან.
თუ დეპეშა გაგზავნეს
გორში ექიმისათვის,
იქნებ ელირსოთ მხოლოდ
მას მესამე დღისათვის.
ავადმყოფი ამგვარად
რჩება ღვთის ანაბარა,
უწამლოთ-უექიმოთ
მაგრამ ესეც არ კმარა.
თუ ექიმი მობრძანდა
მეორე ან მესამე დღეს,
წამალს ალბათ მოიტანს
დღესა მასა მეოთხეს.
გორს უნდა მიაშუროთ
გძლათ ნაწერი რეცეპტით
და მალე დაბრუნებას
ამაოდ შეეცდებით.
ასეა და ამგვარად
თუ რომ ვინმე გაცივდა.
გრიპათ გადაგექცევათ
ან თუ თავძ აგტკივდათ.
ეძებ ექიმს, არ არის
და თან წამალს დაეძებ,
წამი-წამს სცვლის დღე დღეებს
თვალებს შიშით აზეცებ.
უბნის ექიმმა ერთხელ
წაგვიკითხა ლექცია,
დახმარება აღგვითქვა
თავი რვათ დაგვექცია.
ის იყო და წავიდა.
ყინულზე დაიწერა
ასეთია ყოველთვის
ჩვენი სვე, ჩვენი წერა.
ვკითხულობთ თუ რომ რისთვის
არ მიიღო ზომები
ან რისთვის ვართ ყველასგან
ყველგან მინატოვები.
აქვე ერთი ამბავიც
გითხრათ საყურადღებო,
29 მარტს, რომ მოხდა
გაცნობებთ საგანგებოდ:
ავადმყოფი მუშისთვის
მოვიტანეთ წამალი,
სისუფთავის, სიწმინდის
არ ჰქონდა ნატამალი.
ბოთლებს ჭუჭყი ფარავდა
შიგ ნაგავი სცურავდა,
ისეთი მღვრიე იყო,
ცხრილიც ვერ გასწურავდა.

**ჭოტი.**

# გაუმაძღარი მეანგარე

**(შორაპნის საყუდის ანგარა)**

**დათიკო:** აპა ბიჭებო, აწი საუზმის საყვირს მისცემენ, შეუდგეთ საუზმის სამზადისს. ერთმა პური მოიტანეთ, მეორემ ცხელი წყალი, მესამემ შაქარი და ჩაშკები.

**კალენიკე:** მე წყალს ჩამოვიტან, შენ ალიოშა პური და შაქარი მოიტანე..

**გრიშა:** ააშენა ღმერთმა, შენი მომგონი, ჩამითაფლა გული, ეს მეხუთე ჭიქა ჩაისა ვსვამ და ოთხი გირვანქა პურიც ზედ დავატანე. კაციც ასეთი უნდა მაშ.

ქათამი ხომ არ ვარ ერთმა ლუკმა პურმა დამაკმაყოფილოს დათიკო და ალიოშასავით.

**დათიკო:** გრიშა, მაგ პური თუ არ გეყოს, აგერ აუარებელი ნატეხებია გუშინდელი მონარჩენი, თუმცა თაგვები შეგზიარებიან, მაგრამ არა უშავს რა, შენი ამბავი, რომ იცი არ დაიწუნებ; დააყოლე მაგ ჩაის!

**გრიშა:** ბიჭებო, რა სატოლუმბაშე კაცი ვიხარშავ გულს ცხელი წყალით; სად არის ერთი კარგი შავი ღვინო, რომ ლაზათიანათ გამოვბრუშდე და შეზარხოშებულმა ჩაუქროლო ჩემს დუშკას?

**დათიკო:** აბა, გათავდა საუზმის დრო, ეხლა შეუდექით მუშაობას. შენ კი, გრიშა თუ არ მოგწონს ჩვენი საუზმე მაშინ ნება გეძლევათ გაამდიდროთ **ანტონა**, სადაც შავი ღვინოც ბევრია და თეთრიც, რაზედაც უნდა მიაკითხო **ხამხას.** შემდეგ კი შეზარხოშებულსა და ხოშზე მოსულს შეგიძლია ჭიკჭიკი დაუწყო შენს დუშკას.

ალი.



**სერ. სიხ-ძეს** (სოფ. ილები): თქვენი წერილი, ეტყობა ზაკაზად დაწერილია, რადგან „ტარტაროზი" კარგად იცნობს თქვენს სკოლას და მასწავლებლებსაც.

**სტუმარს** (საჭილაო): თქვენი ლექსი კითხვის დროს უეცრად გაფრინდა და იადონივით მორთო „ჩარირამას" გალობა.

**საჩხერელ ჭინკას:** ლექსის თემა შეეხება საშუალო საუკუნეებს და მიტომ „ტარტაროზის" ბრძანებით იგი გადაეცა დაუსრულებელ დავიწყებას.

**არ. დამიტიროს** (მაჩხაანი): იწერებით ლექსად: წერა დავიწყე ნელა-ნელაო და თქვენმა ლექსმა დაიძინა ისევ და ისევ ალმასკომში ქე შეველ ნელა-ნელაო.

**კაია—ფაში—ბუს.** თქვენგან მონაწერი უსტრით „ტარტაროზი" იმდენად კმაყოფილი გახდა, რომ თქვენს წერილს აღმოუჩინა შესაფერისი ადგილი ძილსა-განსვენებისასა.

**პონჩიკს.** გეტყობათ დიდი დაკვირვება განსაკუთრებით სოფლური ზნე-ჩვეულებების „შელოცვების" შესწავლა-შეთვისებით. „ტარტაროზმა" კი ისე შეულოცა თქვენს წერილს ყირამალა გადატრიალდა შვიდჯერ.

**სერელს.** მეტად აღუშფოთებია თქვენი მაღალკეთილშობილება კოხნარის ცხრაწლედის გამგეზე დაბეჭდილ ლექსს:

„ღვინოს ვსვამ
დუდუკს ვამღერებთ,
ქალებო გენაცვალებო".

ტარტაროზს ბოლომდის არც კი წაუკითხავს თქვენი უზრდელობის სანიმუშო წერილი. ის გადავარდა გოდორში.

**წი (ნ) დას.** თქვენი წერილი საინტერესო აღმოჩნდა მით, რომ შინაარს გარდა არაფერი არა აქლია რა.

**ახ. გამოჩ. წიწილას (ლან.-ქვიტირი)**
კვირა რომ გათენდებაო
კაი ამიდი დგებაო,
და თქვენი ლექსი, „შაბათი"
გოდრისკენ იგზავნებაო.

**უმუშევარს.** თქვენი ლექსი კონვერტის გახსნის დროს ისე გამხიარულდა, რომ უეცრივ დაიწყო გულამოსკვენილი ლილინი „შენ გეტრფვი მარად", და გაშალა ფრთები თქვენსკენვე გადმოსაფრენად.

**კვინტს.** როგორც გეტყობათ, ლექსის წერა მეტად გეხერხებათ, რადგანაც ძლიერ მოგვეწონა:

ხელში ავიღე ქამანჩა
**ჟვაპოტინე** სტვირია,
რომ მითი მიუშაირო,
ვინც ჩვენში მავნე პირია.

ჩვენს აზრს კიდევ ადასტურებს სტრიქონები:

კომკავშირელები გახდეს ეს
უჯრედის შემრცხვენელია,
ისევ „ტარტაროზ" გავკიცხოთ
ასეთი . . . . . .
ძმავ კვინტო რომ არ იკვინტო,
არ დაგწყდეს ჩვენზე გულია,
თქვენი წერილი სულსლაფავს
საბრალოდ ხდება სულია.

**ხაშმაგს:** ვცანით საქმენი მუშათა კლუბისანი, სადაც **ვინმე საბა მესხს** მოუწყვია თქვენს კლუბში **საბილიარდო** და **ვინმე ნიკუშასა** და სხვებსაც თავისი **ჯიბის** გასასქელებლად ნებას აძლევს ღამის ორ საათამდის ბილიარდის თამაშობისას. რაც თქვენის აზრით, ყოვლად დაუშვებელია, **მაგრამ ისიც ხომ დაუშვებელია, რომ თქვენი კლუბის გამგეობას ვერ აულაგმავს საბა მესხი, რომელიც არღვევს საკლუბო დადგენილებებს.**

**წიფლანერ ეშმაკს.** თქვენი ლექსი აღდგომის პასკაზე მეტად „დიდი ღირსების" აღმოჩნდა, რომელიც ეხება **ლუბასა და საშურას,** რომლებსაც თურმე ღამე უთევიათ ფურნეში.

ლუბამა და საშურამა,
ჯაჯია ბერაძის ფურნეში,
ათია ბევრი ღამეები (ალბათ პასკისთვის),
ვითომ არ იყვნენ
კომკავშირლები.
ისე დარბოდენ პასკისთვის.
როგორც უპატრონო ქალები.

ლექსთა წყობა შესანიშნავია, აზრი მოსაწონი, და მიტომაც ვათავსებთ ნაწყვეტს სანიმუშოდ.

# ზედ ნადები—ხარჯები

## „გამგის უნარიანობა“



ავტოთი დაბრძანდება
ამაყი და კუშტია,
თავზე ბუზს არ იკარებს,
ცხვირიც გაუბუშტია...




კამანდიროვკაშია
ბერლინში თუ პარიზში,
მუდამ ერთნაირია,
აპრილში თუ მაისში.



ავანსი ისე სცვივა,
როგორც თივა და ქერი,
ასეთ ჩერვონციანებს
სიამით რომ უცქერის.



უყვარს ასე გართობა
მუდამ ღამე ნათევარს,
ქალის ალერსში გასცვლის
ის სიცოცხლის ნახევარს....



ქეიფი, დროსტარება
მისი სული-გულია,
ფართეთ ხევს რაღადგანაც,
სახელმწიფო ფულია.



ჩასტრატამ ასე იცის
გამსახლში მიბრძანება,
რა იცოდა თუ ასე
მოელოდა წვლება.

ალმასკომის სტამბა, კომოს ქუჩა № 68.